№ 2770
ორშაბათი,
14 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2770
ორშაბათი,
14 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაიხსნა

პირველ იანვრიდან ტფილისში ვოკზლის ქუჩაზე, არამიანცის სახლში № 3 კავკასიის სატეხნიკო კანტორა

„საზომი და საწყაო“

და იმასთან სასწორისა და გირების პირველი კავკასიური სპეციალური სარემონტო და შესაკრები კი (შეიძლება გადაკეთება, შეკეთება, გამოწონა) ინჟენერ-ტეხნოლოგების ი. ს. კაცისა და ს. გ. დუკელსკისა. (10—4)

საარტისტო საზოგადოების დარბაზში
ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება

კონცერტი

ქართველ საფილარმონიო საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად. მონაწილეობას მიიღებენ: ქნ. სოფ. დ. დიასამიძისა, ქნ. ბარ. მ. ამირაჯიბისა, ქნ. ან. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ბ. ტ. ზავიც. ბ-ნნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირიმანოვი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზ. ი. ფალიაშვილის დირიჟორობით. ბილეთების ფასი 5 მანეთიდან 70 კ., მოსწავლეთათვის 45 კ.

დასაწყისი სრულ 8½ საათზედ.

ბილეთები იყიდება საარტისტო საზოგადოების კასსაში

პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯ. ი. ა. სულხანიშვილი.

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„გრანდ-ოტელი“

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაკზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მიითხოვონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზე. (15—ბ.—6)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ბ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მელიქი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ა. დ. დამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ზავაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ. მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის გვერდით ტელეფ, 729. (30—91—8)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის თეატრის პირდაპირ № 18. (60—28—35)

ექიმი
ი. ა. ზოქიელოვი

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 19. [illegible] სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. ამერიკულ ბანკის სახლი. (60—403—34)

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 9—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—53).

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ადრესი: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—20)

გლეხთა მოძრაობა

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“-ი № 68).

28 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, თავი მოიყარა შორაპნის მაზრის სოფ. ხიდარის და ვარძიის გლეხობამ, რიცხვით 305 კაცმა, და ყვირილი დაიწყო: „ურა! ეხლა წინანდელი დრო აღარ არის! ეხლა თავისუფლებაა, ერთობა და ძმობა! შორს ძველო მთავრობავ!“ და სხვა. გლეხობა შევარდა კიცხის ორ კლასიან სამინისტრო სკოლაში, გააგდო მოსამსახურე სკოლისა, ჩალეწა კარები, ფანჯრები, შკაფები, სტოლები, სკამები, აგრეთვე დაგლიჯა სურათი ხელმწიფე იმპერატორისა და წიგნები და დავთრები. სასწავლებლიდან ხალხი კიცხის სასოფლო კანცელარიაში გადავიდა და გაანადგურა ყველაფერი, რაც რამე კანცელარიაში იყო. წიგნები, ქაღალდები და საბუთები-კი გაიტანეს ეზოში და ლუკმა-ლუკმად აქციეს. აქედან ხალხი გაემართა სოფელ ვარძიისაკენ, სადაც ივანე ყიფიანის სახლია. ამ სახლში სცხოვრობდა საბერძნეთის მონასტრის (ეს მონასტერი კუნძულ კრიტოსზეა) მამულის გამგე არქიმანდრიტი სამუილი. არქიმანდრიტმა, დაინახა რა ხალხი, მოასწრო დამალვა. ხალხი სახლში შევიდა, დალეწა კარები და ფანჯრები და ყველაფერი, რაც სახლში იყო. გაათრია გარედ ორი ყუთი, გასტეხა, დახია და გაფანტა, რაც რამ შიგ ქაღალდები იყო, და დაიშალა. ამასთან, არქ. სამუელის განცხადებით განადგურებულ იქნა ქართველ მეფეთა გრამოტები, რომელთა ძალითაც მონასტერი მამულებს ჰფლობდა. იმავე დღეს საღამოთი ამ ხალხის ერთმა ნაწილმა ჩაამტვრია ყიფიანის სახლის ფანჯრები. ყიფიანი ოჯახობით სხვაგან არის. შემდეგ შევიდა სახლში, დაემუქრა იქ მყოფთ, დაგხოცავთო, გატეხა კამოდი, გაანადგურა ქაღალდები, მოიპარა ორი სანადირო თოფი და ნაბადი. შემდეგ ხალხმა წინადადება მისცა ათ რაჭველ ხუროს, რომელნიც სახლს აშენებდნენ, დაშლილიყვნენ.

დუშეთის მაზრის სოფელ ძალისსა, მჭადის ჯვარსა, მუხრანის საუფლისწულო მამულსა, მუხრანში და სხვაგან 1-დან 5 მარტამდე ასჩეხეს ტყეები. 5 მარტს მუხრანის სოფლის კანცელარიაში მიწვეულ იქნენ სამ დასახელებულ სოფლის წარმომადგენელნი. ამის ნაცვლად გამოცხადდა 14 სოფლის გლეხობა. ზოგი სოფელი საუფლისწულო მამულზეა, ზოგი სახაზინო და ზოგიც საბატონოზე. თვით-ნებობის მიზეზთა განხილვის შემდეგ ჯერ წარმომადგენლებმა, ხოლო შემდეგ ყველა შეკრებილმა, 800-მა კაცმა, ჯოხებით შეიარაღებულმა, ერთხმად შემდეგი მოთხოვნანი წამოაყენა. ვბეჭდავთ ამ მოთხოვნებს სიტყვა-სიტყვით:

I. სოფლის საზოგადოებათა რაიონების შემცირება; ყოველ ცალკე სოფლის მცხოვრებთ ნება მიეცეს იყოლიონ თავიანთი დეპუტატები, რომლებსაც უფლება უნდა მიენიჭოსთ სოფლის რაიონში ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე უაპელაციოდ გადასწყვიტონ; ისე რომ გლეხთა თვით-განსჯის უფლება სრულიად არ უნდა იყოს შეზღუდული. სხვა წოდებანი, თემში ჩარიცხულნი, ყველა უფლებით უნდა სარგებლობდნენ გლეხებთან თანასწორად; იმ წოდებათ-კი, რომელნიც თემში არ შევიდნენ, არავითარი საქმე არა აქვთ თემთან.

II. ხაზინისა, საუფლისწულო და კერძო პირთ ყველა უძრავი ქონება, როგორიც უნდა იყოს ეს ქონება, გლეხთა საზოგადოებათ უნდა ჩაჰბარდეს; გლეხები ამ ქონებაში არავითარ გადასახადს არ იხდიან; მხოლოდ საუკეთესო მიწებში აძლევენ გადასახადს ხაზინას.

III. მღვდლებს ჯამაგირსა და წესის ასრულების ფასს თითონ გლეხები უნდა უნიშნავდნენ და სასულიერო მთავრობა სრულებით არ უნდა ერეოდეს ამ საქმეში.

IV. სამხედრო სამსახურში გაწვეულნი ჯარის-კაცები ჩაირიცხებიან მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში დაბინავებულ ჯარის რაზმებში და სამხედრო მოქმედებისათვის მხოლოდ ამიერ კავკასიაში გაიგზავნებიან.

V. სკოლები გლეხთა განკარგულებით უნდა იმართებოდეს, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და სწავლა ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, ნაწილად რუსულ ენაზეც.

VI. აქციზი და საქციზო ზედამხედველობა სრულიად მოისპოს.

VII. პრესის სრული თავისუფლება.

VIII. ვუერთდებით იმ რუსებს, რომლებსაც მეამბოხეთ („ბუნტოვჩიკებს“) უწოდებენ.

IX. ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა უკლებლივ ასასრულებლად ვნიშნავთ ვადას 14 მარტამდე, რომლის შემდეგ გლეხებს მოქმედების სრული თავისუფლება ექნებათ ყველა ზემო აღნიშნულ საქმეში.

წესიერების აღსადგენად და სამაზრო ადმინისტრაციის დასახმარებლად, რომ გლეხებს თავ-ნებად გაჩეხილ ტყისა და სხვა ზიანის ფასი გადაახდევინონ, სოფელ მუხრანის რაიონში გაიგზავნა ბატალიონი ქვეითა ჯარი და ყველაზე მეტად დამნაშავე სამის სოფლის მცხოვრებთ (წილკანი, ძალისი და მჭადისჯვარი, 550 მცხოვრებთ) დაევალათ დაწესებული ულუფა აძლიონ გაგზავნილ ჯარს.

შორაპნის მაზრის ბეჟათუბნის საზოგადოების სოფლების ზვარის, ჩიღილის, ნუნისის და ხარაგოულის გლეხებს, როგორც „კავკ.“ სწერს, ერთმანეთისთვის ფიცი მიუციათ, თავიანთ საქმეებისთვის აღარ მიჰმართონ მთავრობის დაწესებულებებს და მოხელეებს და ყველაფერი თვითონ გაარჩიონ. ამისთვის განსაკუთრებული კაცები იქნებიან არჩეულნი. ამაშუკეთის საზოგადოების გლეხებს დაუთხოვნიათ სოფლის სამმართველოდან მოხელენი, ამასთან გამოუცხადებიათ, ნურაფერს მოსთხოვთ გლეხებსაო. სოფელ ერეთის დროებით ვალდებულ გლეხებს, რიცხვით 80 კაცს, ადგილობრივ მემამულის თავ. ნიკოლოზ აბაშიძისთვის ძალით წაურთმევიათ 100 ფუთი სიმინდი.

—

6 მარტს, იმავე გაზეთის სიტყვით, მოლითის სადგურის მახლობლად უცნობმა კაცებმა ცეცხლი წაუკიდეს იმ შენობას, სადაც მოთავსებული იყო ბეჟათუბნის საზოგადოების სასოფლო სამმართველო. დამწვარა აგრეთვე საქმეები. იმავე დღეს ბელოგორის სადგურის მახლობლად გლეხებმა, რიცხვით ორასამდე კაცმა, აიკლეს სოფლის სამმართველოს შენობა და გაანადგურეს საქმეები. მარელისიდან სამ ვერსზე ცეცხლი წაუკიდეს ადგილობრივ მემამულეთა ტყეს. დამწვარი ტყე სიგრძით იქნება ერთი ვერსი, სიგანით ორასი საჟენი.

—

დაბა ჩხარში, 21 თებერვალს, როდესაც ცეცხლი გაჩნდა, დამწვარა 22 საცხოვრებელი სახლი და 57 დუქანი თავის საქონლითა და ნივთებით. 150 სულამ უსახლ-კაროდ დარჩენილა. ზარალი 75 ათას მანეთამდე.

—

როგორც ახალ-სენაკიდან გვწერენ, გენერალ ალიხანოვის განკარგულებით საჯავახოდან ჩამოვიდა აქ ერთი **როტა სალდათი**.

ახალი ამბავი

◆ 20 მარტს, ბაქოში ე. ს. მესხისა და ქ. ე. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით, გაიმართება **ქართული წარმოდგენა** 6—9 თებერვალს დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოადგენენ აზიანის „გაცრუებულ იმედებს“ და ერისთავის „სამშობლოს“. შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

◆ ტფილისის ქალაქის **თვით-მმართველობის მოსამსახურეებს** გამგეობაში განცხადება შეუტანიათ. მოსამსახურენი თხოულობენ, აღარავინ მიიღონ სამსახურში 18 წლისაზე უმცროსი და 55 წლისაზე უფროსი და 20 მანეთზე ნაკლები ჯამაგირი არავის მიეცეს. ამას გარდა დათხოვნა-მიღების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მოსამსახურეთა მოსაზრებაც.

◆ „კავ.“ სწერს: „ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ **გურიაში იხსნება დაკეტილი სამკითხველოები**, როგორც დეპეშით გვატყობინებენ, სიმართლეს მოკლებულია. სამკითხველოების გახსნაზე ლაპარაკიც-კი არა ყოფილა“.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა, რკინის გზის **უმთავრესს სახელოსნოებისა და დეპოს** ხელოსნებს და მუშებს შემდეგი აცნობა: „თანახმად მთავარ-გამგეობიდან მიღებულ განმარტებისა, გაცნობებთ შემდეგს: 1. შვიდი საათის მუშაობა, რომელიც 9 საათად ჩაეთვლებათ, დანიშნულია მხოლოდ შაბათობით და საეკკლესიო და სამეფო უქმეების წინ. ასეთი უქმეები შაბათებს გარდა 33-ია მთელს წელიწადში. 2. ვინც 8 საათზე მეტს იმუშავებს, ზედ მეტი მეცხრე და მეათე საათი ჩაეთვლება საათნახევრად, ხოლო მეთერთმეტე და მეთორმეტე—ორ-ორ საათად, როგორც საქმე დღეს, ისე უქმეში. 3. ის მუშა-ხელოსნები, რომელთაც ათ წელიწადზე ნაკლები უმსახურნიათ და გზის უფროსი კი ღირსად დაინახავს შტატში ჩარიცხვისას, ისარგებლებენ შტატის მოხელეთა უფლებებითაც სახელდობრ: ა) მათ დასვენება და ჯამაგირიც შეენახებათ; ბ) ბილეთებითაც იმავე პირობით ისარგებლებენ, როგორც შტატის მოსამსახურეები; გ) ფულით დახმარების უფლებაც ენიჭებათ ავადმყოფობის დროს; დ) ავადმყოფობის დროს შეუძლიანთ ოთხ-თვემდე დარჩნენ სახლში; ე) თუ მოისურვებენ, რკინის გზის საპენსიო კასსის წევრებადაც შეუძლიანთ ჩაწერა“.

◆ გუშინ წინ, 12 მარტს, ტფილისის ვაჟთა **პირველ გიმნაზიაში** შემდეგი ამბავი მოხდა. ეს მეხუთე დღეა წესიერი სწავლა შეწყდა თითქმის ყველა საშუალო სასწავლებელში. ზოგიერთი მოსწავლენი რეალურ სასწავლებლისა, პირველ და მესამე გიმნაზიის უფროს კლასებისა 12 საათზე მივიდნენ გიმნაზიაში და მოითხოვეს მოსწავლეებს შეეწყვიტათ სწავლა, ისე როგორც სხვა გიმნაზიებსა და სასწავლებლებშია. მოსწავლენი შენობაში არ შეუშვეს, მაინც შევიდნენ დარბაზში და მოსთხოვეს მოწაფეებს სათათბიროდ შეყრილიყვნენ. პოლიციის განკარგულებით უფროსი მოსწავლენი შეაჩერეს გიმნაზიის სადგომში. მალე მოვიდა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი, საგანგებო საქმეთა გამომძიებელი და, საქმის გამორკვევის შემდეგ, მოსწავლენი გაუშვეს თავიანთ სახლებში.

◆ გუშინ, 13 მარტს, დაასაფლავეს სომეხთა ცნობილი კომპოზიტორი **მაკარ ეკმალიანი**. გასვენებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. სიტყვები წარმოითქვა როგორც ვანქის ეკლესიაში, ისე გზაზე და სასაფლაოზე.

◆ ერთს თვეზე მეტია ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა სიები ახლად არჩეულ რწმუნებულებისა. რწმუნებულთა დამტკიცება დაგვიანდა იმის გამო, რომ ზოგიერთა ამომრჩევლებმა არჩევანი განასაჩივრეს.

◆ როგორც ძირულიდან გვატყობინებენ, 12 მარტს სამი კაცი დასცემია ჟანდარმს სირენკოს სახლს და გეტებით უცემიათ. სირენკოს ხმლით დაუჭრია ილია გვილესიანი და პავლე ასარიანი, დაშავებული ხაშურის ქსენონში გაგზავნეს.

◆ სად. ევლახი. 12 მარტს, დილის ცხრა საათზე, მე-532 ვერსის ხიდიდან გადავარდა წყალში კერბალაი მაგამედ-აბას-ოღლი და დაიხრჩო.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა პირველ მარტამდის: 1. მანგლისის მცხოვრები ივანე ბეჟანოვი ერევნის პოლკის პრაპორშჩიკს შტეინს ნადირობის დროს უცაბედად დაუჭრია სასიკვდილოდ; ბეჟანოვი იმავე დღეს მომკვდარა; 2. სუმბათ უსუფ და სამად ისმაილ-ოღლის სოფელ იალხუჯასთან მოუკლავთ ბაგმან-უსუფ-ოღლის; 3 სოფ. წინაწყაროდან ალექსანდრე სტაფილოვმა მოიტაცა ადგილობრივ მცხოვრების მიხეილ ჩულფაევის ქალიშვილი ლიზა, 17 წლისა; 4. სოფელ წავკისში ალექსი კორგოლიშვილს სასიკვდილოდ დაუჭრია ჩხუბის დროს ალექსი დორცეული; 5. სოფ. საბურთალოში ადგილობრივ მემამულეს გრიგოლ ისტამანოვის სახლ-კარს ცეცხლი წაეკიდა. ზარალი დიდია. 6. სოფ. კონსტანტინოვსკაში საფოსტო სადგურის ეზოში თივის ძირები გადაიბუგა. 7. საეტაპო ეზოში სოფ. მალხაზოვკაში უეცრივ გარდაიცვალა ქ. თელავის მცხოვრები ზაალ ო. დავიდოვი. 8. ჩხუბის დროს გორის მაზრის მცხოვრებმა სულემან უძირილმა ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა თავში ტფილისის მაზრის მცხოვრები ქავთარ ქავთარაძე; 9. სოფ. კარტლიარის მცხოვრებმა მუსა ნაბლუ-ოღლიმ ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა სოფ. კარტლიარის მამასახლისის თანაშემწე ისმაილ ალლა-ფერდი-ოღლი. 10. სოფ. სარაჩლოს მცხოვრებმა კარა-მუსტაფა-ოღლიმ თოფით მოჰკლა თავისი ერთ სოფლელი გაჯი ნასიბ-ოღლი. 11. სოფელ სარაჩლოში ადგილობრივ მცხოვრებ მუსი-მუსტაფოღლის თავის მეზობლის გაჯი-ნასიბ-ოღლის სახლში ესროლეს თოფი და იქვე მოჰკლეს. 12. ალავერდის ქარხნის მემამულეთ პავლე ბანჩალოვის, ანასტასია ბანჩალოვის და ალექსანდრე ხარიტოვის 80 ურემ თივას ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს, ზარალი 480 მანეთისაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის უკან დახევა მუკდენიდან ტელინამდე. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი დაწვრილებით აღწერს რუსის ჯარის მუკდენიდან დახევას: 25 თებერვალს დილით რუსების უბანს მუკდენში ცეცხლის ალი ასდიოდა. საინტენდანტოს საწყობებიდან სალდათებს სიხარულით გამოჰქონდათ, ვის რამდენი უნდოდა: ფეხსაცმელი, ტყავები, პერანგები, ფუფაის პერანგები და სხვა. ვაგზალი მთლად დაინგრიათ, ყველგან დამტვრეული ყუთები, ზანდუკები, მებელი და ჭურჭელი ჰყრია, ვაგზლის წინ სურსათისა და შეშის საწყობები იწვოდა... მალე ჩვენც დავიძარით, იაპონელები ყუმბარებს გვიშენდნენ. რკინის გზის ახლო შარა გზა სავსე იყო გადაყრილ ტყავებითა, საბნებითა, პატრონტაშებითა, საცვლებითა, ზანდუკებითა, ჭურჭლით, წიგნებით და ქაღალდით. რკინის გზის მეორე მხარესაც ყველგან ჰყრია გადაბრუნებული ურმები, დატოვებული ყუმბარის ყუთები, მკვდარი პირუტყვი, გადაყრილი თოფები და პატრონები; რამდენიმე მკვდარი სალდათიც დავინახე. ერთი დაჭრილი სალდათი გზის პირად ამოღრმავებულ ადგილას მიმალულიყო და შორიდან სასოწარკვეთილებით გამაყოლა თვალი. გული მომიკვდა იმის დანახვაზე. ისევ რკინის გზის მეორე მხარეს გადაველ მეორე არმიის შტაბთან. ადიუტანტმა ზაიონჩკოვსკიმ მკითხა, შეიძლება ეხლანდელი უკან დახევა ლიაოიანისას შევადაროთო. ვუპასუხე: „მაშინ უკან დახევა იყო, ეხლა-კი უმსგავსობაა, —მეთქი“... დასავლეთიდან იაპონელები განუწყვეტლივ გვესროდნენ ზარბაზანს, აღმოსავლეთიდან თოფსა. ერთი ტოპოგრაფი აფიცერი ცხენს კისერზე მოეხვია და გონება დაბნეულმა მინდვრისაკენ გააჭენა... ერთ სოფელზე მომიხდა გავლა: ყველგან გამხმარი პური („სუხარი“), პატრონები, დამტვრეული და მთელი თოფები ეყარა. ერთ ჭასთან სალდათები ირეოდნენ და ყუმბარებს ქვეშ ჭუჭყიან წყლის უკანასკნელ წვეთებს ჰწრუპავდნენ. იქვე დაგუბებული ჭუჭყიანი წყალი გამლხვალიყო, სალდათები ქვაბებით იღებდნენ და ჰსვამდნენ. ხალხი და პირუტყვი განუწყვეტელ ნაკადულივით მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ. როცა იაპონელთა „შიმოზა“ (ყუმბარა) გრიალით სკდებოდა, სალდათები ქუდებს იხდიდნენ, პირჯვარს იწერდნენ და ლოცულობდნენ: „გვიხსენ და შეგვიწყალე, ღვთისმშობელოო.“ სრული არეულობა იყო. ქვეითა ჯარი, არტილერია, ქარავნები ერთმანეთში იყო ამღვრეული. სალდათები ხშირად მაყენებდნენ და მკითხავდნენ: „ცუდადაა საქმე, თქვენო კეთილშობილებავ, ყველა მხრიდან წრე შემოგვავლეს, არა? გვიხსნის უფალი, მეუფე ზეცათა? ნეტავ, ვნახავთ-ღა რუსეთს, თუ არა?“ ზოგგან ისმოდა ყვირილი: „ღმერთო გვიხსენ, რუსები იღუპებიან. ღვთის-მშობელო გვიხსენ“... დაჭრილთა წასაყვანად სალდათების დაქირავებას ვაპირობდით. თითო კაცს ხუთი მანეთი შევაძლიეთ, მაგრამ მსურველი არავინ გამოჩნდა...

კიდევ ბევრ საზარელ სურათს ჰხატავს კორესპონდენტი და ბოლოს უმატებს: ამაზე მეტი ცენზურამ აღარ გაუშვაო.

რუსეთის ქრონიკა

ცენზურის შეზღუდვა. როგორც „რუს“-ს გაუგია, ფიქრობენ შეამცირონ პეტერბურგში უცხოეთის საცენზურო კომიტეტის ზოგი ფუნქციები. შემცირება უნდათ აგრეთვე რიგისა და ოდესის კომიტეტების მოქმედებისა. ფიქრობენ აგრეთვე გააუქმონ ცენზურა და განათავისუფლონ მოსკოვისა, კიევის, რეველის და ვილნოს ცენზორები იმ ზოგიერთ თანამდებობიდან, რომელნიც დაკისრებულ აქვთ მათ, როგორიცაა, მაგალითად, საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ უცხო ენაზე დაწერილ წიგნების განხილვა. ამას კავშირი აქვს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ უცხო ენაზე დაწერილ წიგნების ცენზურისაგან სრულიად განთავისუფლების პროექტთან.

შეწყვეტილი კრება. კიევში სალიტერატურო-საარტისტო საზოგადოების შენობაში 1 მარტს შეკრებილა ბევრი ხალხი. უმეტესი წილი სტუდენტები ყოფილან. გამოსულა ბ-ნი ლ. და ბაქოს ამბების შესახებ მოხსენების კითხვა დაუწყია, მაგრამ სწორედ ამ დროს ხალაში გაჩენილა პოლიცია და მოუთხოვნია, დაეხურათ კრება, რადგან იგი უკანონოაო. ბ-ნ ლ. წასულ

მის მაგიერ ესტრადაზე ბ-ნი ვ. გამოსულა და განუცხადებია: „თუმცა ჩვენ ძალა არ შეგვწევს პოლიციის წინააღმდეგობის გასაწევად, და იძულებულნი ვართ დავიშალოთ, მაგრამ პოლიციის მოქმედება მაინც უკანონოაო“. („კიევლიანინი“).

ებრაელთა პეტიცია. სტატს-სეკრეტარ ვიტტესთვის პეტიცია წარუდგენიათ ებრაელებს; ამ პეტიციაზე ხელს აწერს 4000 კაცი. ჯერ პეტიციაში აღნიშნულია ის ყოვლად უკანონო, ყოვლად აუტანელი, გათახსირებული და დაცემული პირობანი, რომლებშიაც სცხოვრობენ რუსეთში ებრაელები. ბოლოს-კი ასე თავდება პეტიცია: „ეხლა აპირობენ გადასინჯონ ებრაელების შესახებ კანონები და შესცვალონ იგინი, რამდენადაც შესაძლებელი იქნება. ჩვენ-კი ვაცხადებთ: ყოველივე ცდა დააკმაყოფილონ და დაამშვიდონ ებრაელები რაიმე შეღავათით, რომელსაც ნაწილ-ნაწილი ხასიათი ექნება, ყოვლად უნაყოფოდ მიგვაჩნია. ჩვენ ვითხოვთ რუსებთან უფლებებით გათანასწორებას და არა იმიტომ, რომ ამას შემდეგ ებრაელები სარგებლობას მოუტანენ დანარჩენ მცხოვრებლებს, ან ხელს შეუწყობენ ვისიმე კეთილდღეობის განმტკიცებას, არც იმისთვის, რომ ჩვენი ძმები, რუსებთან ერთად, სისხლს ღვრიან მანჯურიაში ისე, როგორც ღვრიდნენ წინანდელ ომებში, არც იმ საფუძვლით, რომ ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ ისტორიულად ჩვენი დიდის ხნის ცხოვრება რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ჩვენ ვითხოვთ მოგვენიჭოს გაერთუფლებიანება და საერთო კანონების წინაშე გათანასწორება, რადგანაც ჩვენ ადამიანები ვართ, ადამიანები, რომლებშიაც, ყველაფრისდა მიუხედავადაც, არ ჩამქრალა გრძნობა საკუთარის ღირსებისა, ჩვენ ვითხოვთ ამას, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს შეგნებული მოქალაქეები.“ („ბირჟ. ვედ.“).

პრესსა

რა კავშირია რუსეთის შინაურ ცხოვრებასა და შორე-აღმოსავლეთის ომიანობის მსვლელობის შორის? მანჯურიაში უკან ვიხევდით, მაგრამ სამაგიეროდ შინ წინ-წინ მივდივართო, გვიპასუხებს ამ კითხვაზე გაზეთი „ბესარაბსკაია ჟიზნ“-ი.

ჩემ წინ დგას სურათები რუსების უკან დახევისა მანჯურიაში; ტიურენჩენი დავკარგეთ და სვიატოპოლკ-მირსკი შევიძინეთ „გაზაფხულით“, ლიაოიანის მაგიერ 12 დეკემბრის ბრძანება მივიღეთ, პორტ-არტურის მაგიერ უკანასკნელი რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე.

მოვისაზრე ყველა ეს, თვალები დავაჭყიტე და მაღლა ვსთქვით:

— მაშ ეგრე?!

როცა შევიტყვე, რომ კუროპატკინმა სრულის წესიერებით დაიხია უკან მუკდენიდანო, მაშინვე ვიკითხე.

— ამის სამაგიეროდ რაღა უნდა მივიღოთ-მეთქი? და გადავსწყვიტე:

— საერო კრება!

რადგან ბიუროკრატიამ რომ სისრულეში მოიყვანოს ხელმწიფის რესკრიპტი, აუცილებელია სამჯერ უფრო დიდ ბრძოლის წაგება, ვიდრე ლიაოიანის ბრძოლა იყო.

დადგა ასეთი ბედნიერი დღეც.

ამ გვარად ყოველ ეჭვსგარეშეა, რომ მანჯურიაში უკან წასვლით რუსეთში წინ მივდივართ. იცის კუროპატკინმა? თუ იცის, დიდებული მხედრთ-მთავარი ყოფილა. მაშინ იგი წინ მიდის და არა უკან. მოდის პეტერბურგზე მანჯურიიდან.

გამარჯვებული მიჰყავს წინ ასი მილიონი სული და უკან მხოლოდ 300 ათასს ახევინებს. სამასი ან ოთხასი ათასი ხომ ერთი მესამედია ასის მილიონისა. ეს იმასა ჰგავს, რომ გამარჯვებულ როტიდან მხოლოდ ერთი ჯარის-კაცი ბრუნდებოდეს უკან. ამას ნამდვილი გამარჯვება ჰქვია.

არა თუ დღეს, წარსულშიაც ამგვარივე კავშირი ყოფილა გარედ დამარცხებასა და შინ გამარჯვებას შორის.

1812-ში ჩვენ უკან დავიხიეთ და მოსკოვს ცეცხლი წავუკიდეთ, მაგრამ, როგორც ვიცით, ამის შემდეგ მოსკოვი უფრო დამშვენდა, და ჩვენ წინ წავედით. ჩაცკის დროის განმანათლებელ მოძრაობაში.

1856 წელს ჩვენ უკვე ვიცოდით ფლოტის ჩაძირვა ძლიერ ციხის ნავთსადგურში; ხმელეთზე მენშიკოვი დაამარცხეს ალმასთან და თავადი გორჩაკოვი სევასტოპოლიდან ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

სამაგიეროდ, ჩვენ თვითონ წავედით წინ: გაჩნდა რეფორმების ნათელი ხანა და გლეხების განთავისუფლება.

1878-ში ოსმალეთი დავამარცხეთ; ჩვენი ჯარის კაცები თითქმის სტამბოლამდე მივიდნენ და მას აქეთ დღემდე სულ უკან-უკან მივდივართ.

ბოლოს დღეს... მაგრამ დღევანდელ დღეზე, როგორც გარდაცვლილზე ან კარგი უნდა სთქვა, ან სულ არაფერი.

ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ; მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედის განმანათლებელ მოძრაობისათვის თუ ძეგლი დავუდგით კუტუზოვს მოსკოვში, თუ რეფორმების ეპოქისა და გლეხების განთავისუფლებისათვის სევასტოპოლში ძეგლი დაუდგეს ნახიმოვს, რაღა უნდა დავუდგოთ კუროპატკინს, თუ იმედი გამართლდა და კუროპატკინმა ეს იცის?

საუკუნო ძეგლი, რომლის სანახავად ხალხი მუდამ ივლის და სასიარულო ბილიკზე ბალახი თავის დღეში არ ამოვა.

⁂

გაზეთი „ბირჟევ. ვედომ.“, განიხილავს რა კავკასიაში ნამესტნიკობის განახლებას, ამბობს, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა ლმობიერი, სამართლიანი, წინდახედული უნდა იყოს და ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებების დაკმაყოფილებას დიდის გულის ყურით და ერთგულებით უნდა სცდილობდეს.

განსაკუთრებით ფრთხილი და დელიკატური უნდა იყოს სარწმუნოებრივ და ეროვნულ საკითხების გადაწყვეტაშიო, განაგრძობს გაზეთი. ამ მთავრობას მომქმედი და დიდად სასარგებლო თანაშემწეობა შეუძლიან გაუწიოს ადგილობრივ თვით-მმართველობამ, რომელიც კავკასიას უნდა მიენიჭოს ფართო უფლებებითო“.

გაზეთი „ნოვოსტი“ ჰფიქრობს, მომავალ კავკასიის მთავრობის თვისებათა დახასიათება ისეთის ეპიტეტებით, როგორც „სიფრთხილე“, „დელიკატობა“, „ლმობიერება“ და სხვ. საუკეთესოდ ჰმოწმობს, „რაოდენ დაშორებულნი ვართ ჩვენ—ნორმალურ საზოგადოებრივ მოწყობილებისაგან, და მთავრობა—თავის როლის შესახებ სამართლიანის წარმოდგენისაგან“. ამ გაზეთის აზრით, კავკასიას მარტო ადგილობრივი თვითმმართველობა მშვიდობიანობას ვერ მისცემს, „კავკასია მაშინ დამშვიდდება,

როდესაც მთელი რუსეთი დაწყნარდება, ე. ი. როდესაც ძირითადი, აუცილებელი რეფორმები ერთგვარად იქნება შემოღებული მთელის სახელმწიფოსთვის. მაშინ აღარც ნამესტნიკობა იქნება საჭირო, რომელიც ადმინისტრატიულ უფლებათა განსაკუთრების გაფართოვებას წარმოადგენსო“.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

12 მარტი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრს: „რათა სახელმწიფო ხაზინას საშუალება მიეცეს დაფაროს ის ხარჯი, რომელიც იაპონიასთან ომმა გამოიწვია, საჭიროდ ვსცანით შევუდგეთ შინაგან სახელმწიფო სესხის გამოცემას, თანხმად თქვენ მიერ წარმოდგენილ და მინისტრთა კომიტეტში განხილულ მოხსენებისა, ამიტომ გიბრძანებთ თქვენ გამოუშვათ რიგზე და თანდათან 5%-ნი სესხი რიცხვით ორასი მილიონი მანეთი; სესხის გამოშვება უნდა მოხდეს შემდეგის საფუძვლებით: ა) ეს სესხი შეტანილ იქნება სახელმწიფო სავალო წიგნში 1905 წლის შინაგან 5%-იან სესხის სახელით; ბ) ამ სესხის ობლიგაციები უნდა იყოს სახელობითი და აგრეთვე იმის სახელზეც, ვინც საჭირო ბარათს წარადგენს. ობლიგაციების ფასი 100, 200, 500, 1000 და 5000 მანეთი უნდა დარჩეს; გ) ის წესები, თუ როგორ უნდა გადვიდეს ერთის პირიდან მეორე პირის ხელში სახელობითი ობლიგაციები და აგრეთვე როგორ უნდა შეიცვალოს ხსენებული ობლიგაციები არა სახელობითებზე, თქვენ უნდა შეიმუშაოთ; დ) ობლიგაციებიდან შემოსავალი უნდა დარჩეს 5% ყოველ წლივ; ეს პროცენტი უნდა იხადონ ყოველ ნახევარ წელს 1 მარტს და 1 სექტემბერს ამნაირად: ობლიგაციების კუპონები უნდა წარადგინონ სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე იმ ქალაქების ხაზინებში, სადაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები არ არსებობს და ისეთ ადგილებშიაც, სადაც თქვენ დანიშნავთ. პროცენტი ძალაში შედის 1905 წ. 1 მარტიდან; ე) საობლიგაციო პროცენტები სამუდამოდ თავისუფალია იმ გადასახადიდან, რომელიც ედება თანხიდან შემოსავალს; ვ) კუპონები უნდა გაანაღდონ ათის წლის განმავლობაში დღიდან ვადის დაწყებისა; ობლიგაციები კი ოცდა ათი წლის განმავლობაში იმ დღიდან, რომელიც თანხის შესატანათაა დანიშნული; ზ) ამ სესხის ობლიგაციების დანიშნულ ფასზე გასანაღდებლად 49 წლის განმავლობაში არსდება განსაკუთრებითი გამნაღდებელი ფონდი, რომელსაც შეავსებს სესხის დანიშნულ ჯამიდან გადადებული 0,503965% და ყველა განაღდებულ ობლიგაციებიდან 5%-ის დამატება; თ) გასანაღდებელ ობლიგაციების ტირაჟები ყოველ წლივ უნდა გამოშვებულ იქნას 1905 წ. ნოემბრიდან დაწყებული. ტირაჟში გამოსული ობლიგაციები განაღდდება სამის თვის შემდეგ თვითეულ ტირაჟის გამოცხადებისა; ი) 1917 წლამდე არ იქნება გადიდებული ის რიცხვი, რომელიც მე-7-ე პუნქტის ძალით უნდა გადაიდოს ხსენებულ სესხის გასანაღდებლათ; აღნიშნულ ვადამდე არ შეუდგებიან ამ სესხის არც გამოსყიდვას და არც მისს კონვერსიას; კ) თუ რა უფლებანი და უპირატესობანი ექნება ამ სესხის ობლიგაციებს სახელმწიფო დაწესებულებებში დაგირავებისას, ამას თითონ თქვენ განმარტავთ, თვითონ სესხის გამოშვებისას“. დედანზე მისი იმპერატორებით უდიდებულესობისაგან მოწერილია **„ნიკოლოოზ“**, მაზევე აღნიშნულია ფინანსთა მინისტრისაგან: „ცარსკოე სელო, 12 მარტს 1905 წ. ფინანსთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ვ. კოკოვცევი“.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებ სესხის განაღდება რუსეთის ბანკთა ამხანაგობამ იკისრა.

ლონდონი, 11 მარტი. აქ გაცხარებით ლაპარაკობენ მეშედში რუსების წინააღმდეგ მოხდენილ არეულობაზე. ეშინიათ, ვაი თუ სხვა ევროპიელების წინააღმდეგაც წავიდნენ სპარსელებიო. შაჰი იმდენად სუსტია, რომ ძნელად თუ შესძლებს ხალხის მოძრაობის ჩაქრობას.—იაპონელებმა დაიქირავეს რუს-ტყვეთა გასამგზავრებლად ოდესაში გერმანიის გემი „მიუნხენ“-ი.—იაპონიის სესხი, რომელზედაც ხელის მოწერას დაინტერესებული მებანკეები ლონდონისა 16 მარტისთვის ჰფიქრობენ გამოაცხადონ, უკვე ორ პროცენტიან საბირჟო პრემიას იძლევა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

12 მარტი.

პარიზი. პელტანის აზრით, საფრანგეთი უნდა ჩაერიოს ომის შეწყვეტაში. ის ამბობს, რომ თუ ომი გაგრძელდა, თუნდაც რუსეთმა გაიმარჯვოს, მაინც ძლიერ დასუსტდება იგი და საფრანგეთ-რუსეთის კავშირიც დაჰკარგავს თავის მნიშვნელობასაო.

შანხაი. (მორნ. პოსტ.). შაჩანის პროვინცია კიატინგში ქრისტიანთა და უცხოელთა წინააღმდეგ ამხედრებულებმა დაამარცხეს ჩინეთის ჯარები.

ბერლინი. ფინანსიური წრეები ამბობენ, რომ ჩვენ ძალით ჩამოგვაშორა იაპონიის სესხზე ხელის მოწერას ინგლის-ამერიკის სინდიკატმაო.

ასხაბადი. რუსეთის მეშედელ საკონსულოს მმართველი იუწყება დეპეშით, დღევს მიწყნარდა. არეულობამ დიდი ზარალი მოიტანაო.

ბერლინი. მთავრობამ წინადადება მისცა პრუსიის პალატას 15 მილიონი მანეთი გადასდოს მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ბათუმი. ტყუილია ხმები, ვითომც შეწყვეტილიყოს ნავთის ექსპორტი. ექსპორტი არ შეწყვეტილა. ბნიტოს ქარხანა შეუდგა ყუთების ტვირთვას აფიცრის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ნოვგოროდი-სევერსკი. გუშინ თავადაზნაურთა კრებამ დეპეშა გაუგზავნა კუროპატკინს.

ლონდონი. „დეილი. ტელეგრაფ.“-ის სიტყვით, ბრიტანიის მისია ისევ ქაბულში ყოფილა. ემირი სცდილობს გააჭიანუროს გადაჭრა ზოგ კითხვებისა, რომელნიც მისიამ აღძრა.

ლაკანე, (კრიტოსის კუნძულზე). ვისაც საბერძნეთის ხელმწიფის შვილის მმართველობა არ მოსწონს, ყველა მთებში იხიზნება. ჟანდარმებმა ვერას გზით ვერ გამოაძევეს მთებიდან. დაიჭირა ორი ჟანდარმი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

12 მარტი

პეკინი. იაპონელები ჰფიქრობენ, დაადვან ინკოუს მკვიდრთ გადასახადი შემოსავლის მიხედვით.

შანჰაი. ტოკიოს იურისტების კომისიამ გადასწყვიტა, ჩინეთის მთავრობამ სამუდამოდ უნდა გადასცეს იაპონიას კანტროლი და განკარგულება მანჯურიაში, რათა დაცულ იქმნას ჩინეთის დამოუკიდებულებაო.

პეკინი. გაზეთ „სილვენვაო“-ს სიტყვით, ჩინეთის მთავრობის მოთხოვნისამებრ ინგლისის ადვოკატი წარადგენს პეტერბურგში მოთხოვნას მატროს აგეევის საქმის ხელმეორეთ გადახედვის შესახებ.

ლონდონი. „ლლოიდ“-ი იუწყება ტამატავიდან, რუსის ესკადრა გაემგზავრა, მაგრამ საით, არავინ იცისო.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით ომში დაჭრილებზე მზრუნველ ალექსანდრეს კომიტეტის წევრი გენ.—ადიუტანტი გრიპენბერგი დათხოვნილ იქნა მანჯურიის მეორე არმიის სარდლის თანამდებობისაგან და დატოვებულ იქნა გენ.-ადიუტანტათ და კომიტეტის წევრათ.

სუეცი. (რეიტერი). ნებოგატოვის ესკადრის დანარჩენი გემებიც მოვიდნენ აქ.

კარაკასი. (ჰავასი). პრეზიდენტი კასტრო უარს ამბობს სამედიატორო სამართალის დანიშვნაზე: ხსენებული სამართალი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოითხოვეს საფრანგეთის საკაბელო ამხანაგობის საქმის შესახებ; კასტრო სასამართლოში უჩივის ხსენებულ ამხანაგობას.

ბახმუტი. მოკლეს მეწვრილმანე ტულჩიცკი; მკვლელობა გაცარცვის სურვილს მოჰყოლია. ქუჩაში დაკლული უნახავთ პურის მცხობელი პელიხანოვი და გლეხი შევჩენკო. სამი ბოროტგამზრახველნი შეიარაღებულნი დაეცნენ ვაჭარ ეპშტეინის სადგომს და უნდოდათ მისი გაცარცვა.

მინსკი. საგუბერნიო ერობის კომიტეტმა 25 ათასი მანეთი გადასდო ხოლერასთან საბრძოლველად.

როსტოვი-დონზე. არ იციან, სად იმყოფება ვალდიანი.

მოსკოვი. დაბრუნდნენ საბჭოს ის ხმოსნები, რომელნიც შინაგან საქმეთა მინისტრთან გაგზავნილ დეპუტაციაში იღებდნენ მონაწილეობას; მინისტრს უთქვამს მათთვის, უეჭველად უაზრო იქმნება განზრახულ თათბირში საზღვაო სამმართველოების წარმომადგენელნი რომ არ მოიწვიონ. როგორ უნდა მოიწვიონ ეს წარმომადგენელნი, ეს თვით ხელმწიფეზე იქნება დამოკიდებულიო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 მარტი.

პეტერბურგი. გზათა სამინისტრომ შესაძლოდ სცნო შემდეგი განკარგულება მოეხდინა: დღეის ამიერ, ომის გათავებამდე შორეულ აღმოსავლეთში, დაჭრილ და ავადმყოფ აფიცრებს, რომელნიც ბრძოლის ველიდან წამოვლენ და რომელთაც წითელის ჯვრის მოწმობა ექნებათ, ნება ეძლევათ დაიჭირონ ციმბირის რკინის გზის სწრაფელ მატარებლებში უფასოთ ერთიდან სამ გამყოფილებამდე მეორე კლასის ვაგონში; ამ შეღავათს იმ შემთხვევაში ექნება ძალა, თუ წითელი ჯვრის გამგეობა და ციმბირის რკინის გზის უფროსი წინდა-წინვე შეთანხმდებიან ერთმანეთში იმის შესახებ, თუ რამდენი აფიცერი გამოიგზავნება ამა თუ იმ სწრაფელ მატარებლით.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშები: 1) „წუხელ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.“ 2) „დღეს ჯარებში ცვლილება არ მომხდარა. შუანმაუზას სადგურს მტრის პატარ-პატარა რაზმები უახლოვდებიან“.

ნოვოუზენსკი. საერობო სამმართველოსთან დაწესებულმა ეკონომიურმა რჩევამ გლეხების წარმომადგენელთა თანადასწრებით დაადგინა: ეთხოვოს ერობას, იშუამდგომლოს, რათა პირველ დაწყებითი სწავლა სულმთლად ერობის გამგეობის ქვეშ გადავიდეს, მიეზომოს სახელმწიფო მიწები ადგილობრივ საზოგადოებებს, რომელთაც ცოტა აქვთ მიწა, აეკრძალოს სხვა გუბერნიების გლეხებს ნოვოუზენის მაზრაში გადასახლება, მოწესრიგდეს სახელმწიფო მიწის საიჯარო ფასები და დაუყოვნებლივ განთავისუფლონ გლეხები არსებულ ადმინისტრატიულ ოპეკისაგან, რომელიც აფერხებს მცხოვრებლების თვით-მოქმედების განვითარებას.

მოსკოვი. პედაგოგიურმა საზოგადოებამ საჭიროდ სცნო ხელი შეუწყოს, როგორც პედაგოგიურ რჩევებში, აგრეთვე ლიტერატურასა და კრებებზე მოსწავლეთ გაფიცვებს, რომელნიც მიმართულია რუსეთის სკოლებში არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ხსენებული საზოგადოება აარჩევს კომისიას პროფესსორებისაგან, რომელმაც სახელმწიფოს საქმეების მოწეს-რიგების პროექტი უნდა შეიმუშაოს.

პარიზი, 6 მარტი. ინდოეთის ოკეანეში ციკლონი მძვინვარებდა; მადაგასკარზე ბევრი შენობები და სოფლები დაზიანდა.

თავრიზი. სომხები ძლიერ შფოთვენ, ვინაიდგან ცნობები მოვიდა, სპარსელები სომხებს ჟლეტვენ ურმიაში.

ხარკოვი. ჰფიქრობენ, 28 მარტს სახელმწიფო ეგზამენები დაიწყონ ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე. ეგზამენების დაჭერის მსურველთ შეუძლიანთ თხოვნები მისცენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.);. 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

გამგეობა ფოთის სამარხი კასისა აცნობებს თავიანთ წევრთა, რომ კვირას, 20 მარტს, 1905 წელს, ნაშუადღევის 6 საათზე, ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება** წევრთა. კრება განიხილავს 1904 წლის ანგარიშს; აარჩევს თანამდებობის პირთ; გადასწყვეტს გამგეობის წევრთა ჯილდოს და განიხილავს საქმეს კასის წევრის ხელაიას სიყალბით შესვლის შესახებ კასის წევრთა რიცხვში. (3—6.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადაიდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—207.

ტფილისის ქალაქის

საბჭო

აცხადებს, რომ ამა წლის 16 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც იჯარით გაიცემა სამუშაო მცურავ საბანაოების გასამართავად. ეს საბანაოები გაიმართება მტკვარზე და შესდგება ხის პავილიონისაგან რკინის პონტონებზე. შეიძლება განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით წარდგენილ იქნას ცალკე რკინეულ და ცალკე ხის სამუშაოებზე ან ორივე ერთად. პონტონი ნაპირზე მიმაგრებული, წყალზე უნდა იდგეს;

პირობებისა და სხვა ქაღალდების გაცნობა შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში 12-დან 3 საათამდე. (3—6.—3)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—15).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. შ. ქ.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
ლასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერის	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	—	1

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.